პროლეტარიანებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУзии, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 87 (18329) ოთხშაბათი, 14 აპრილი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ

საქართველოში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისთვის საყოველთაო-სახალხო მზადების გამოწვეული მაღალი პოლიტიკური აქტიურობის ვითარებაში დაიწყო ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა კანდიდატთა დასახელება. მშრომელთა კოლექტივების კრებებზე, რომლებიც ამ დღეებში იმართება, ასახელებენ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა პირველ კანდიდატებს, ადამიანებს, რომლებსაც მაღალი იერარქიული ავქორიტეტი აქვთ, სამშობლოს საკეთილდღეოდ თავდადებული შთაგონებული შრომით, აქტიური საზოგადოებრივი მუშაობით დამსახურებული ნდობა მოიპოვეს.

თბილისის სტალინის სახელობის ელექტროგადამშემკეთებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების კრებამ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა ამ საწარმოს მეფდელი, სოციალისტური შრომის გმირი **კონსტანტინე მიხეილის ძე ილურიძე.**

თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მკერავი **ვალენტინა ალიკოს ასული პოხარევა** ფაბრიკის კოლექტივის კრებაზე დაასახელეს საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

თბილისის გაერთიანებული ავიისაწარმოს კრების მონაწილეებმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს პილოტი **ალბერტ მამიკონის ძე ნურბეკიანი.**

თბილისის „ელექტროაპარატის“ ქარხნის ამწყობი **რონენ შალვას ასული ჩიტაშვილი** ამ საწარმოს კოლექტივმა ერთსულოვნად დაასახელა ქალაქ თბილისის ლენინის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

„საქვინომანქანის“ საწარმოო გაერთიანების ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშამოსამსახურეთა კრებამ ნდობა გამოუცხადა ელექტროშემდგომელი **ჯემალ ვიოლეტის ძე ბუაჩიძეს** და იგი ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა.

„საქმთავარნერგოს“ ბათუმის ელექტროქსელში გამართული კრების მონაწილეებმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს ბათუმის ქვესადგურების ავტოფეხა ოსტატი **თამაზ კარლოს ძე ბაჯელიძე.**

ხელოს რაიონის მაღალმთიან სოფელ დიოკნისის კოლმეურნეობის წევრებმა დიდი ნდობა გამოუცხადეს მეთამბაქოე **ეუფუნა ახმედის ასული ძირკვაძეს,** როცა იგი რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს.

შუახევის რაიონის სოფელ სამოლეთის კოლმეურნეთა საერთო კრებამ რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა მეცხოველე **ბავლე ალითმანის ასული ყეფერაძე.** ხოლო უჩამბის სასოფლო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, რომელშიც შედის სოფელი სამოლეთი, დასახელეს მეთამბაქოე **ეუფუნა სულეიმანის ასული ხელრიძე.**

(საქინფორმი).

ᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗ

საბჭოს მუდმივი კომისია

ᲛᲐᲒᲘ კაცითაო, ნათქვამია. დიდია ამ თანადგომის იმედი, რომელიც ყოველთვის კიაფობს ადამიანის სულში. მით უფრო დღეს, როცა იგი გარემოსილია უურადღებით.

მოქალაქის კეთილდღეობაზე დღენიადაგ ზრუნავენ პარტია და მთავრობა, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, საბჭოები, მათი მუდმივი კომისიები.

— ეს სამქმე დეპუტატის აქტიური ჩარევით გაკეთდა, — ამ სიტყვებს ხშირად გაიგონებთ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებში. ფასდაფდებელია დეპუტატთა ღვაწლი საერთო-სახალხო საქმეში.

შეეხეთდოთ ჩვენს დღევანდელ სოფლებსა და ქალაქებს. შეავდართთ ისინი ოცი წლის წინანდელს. დაეინახავთ, რომ დიდია სასიკეთო ცვლილება. კომუნალურმა მშენებლობებმა, ახალმა სკოლებმა, მაღაზიებმა, კულტურის სასახლეებმა, გზებმა დიდად უცვალა სახე არა თუ ქალაქებს, არამედ სოფლებსაც, გალამაზა და ხელსაყრელი ცხოვრების პირობები დაამკვიდრა.

ეს სიკეთე ერთი ხელის დაკვრით არ მოსულა. უდიდესი შრომითა და გარჯვით, დაბრკოლებათა გადალახვით, ხშირად ბრძოლითაც არის მოპოვებული და ვინ მოთვლის წვლილს, რომელიც ამ საქმეში ადგილობრივი საბჭოების მუდმივმა კომისიებმა, მათმა სახალხო დეპუტატებმა შეიტანეს!

მარტო აბაშის რაისაბჭოს აღმასკომის მაგალითი რად ღირს. პარტიის რაიკომის ხელმძღვანელობით ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანომ უდიდესი როლი შეასრულა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი სრულყოფის საქმეში. აბაშის განოყიერება ფართოდ განზოგადდა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 10 მარტის სხდომამ, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად განიხილა საქართველოს სსრ აბაშისა და ლატვიის სსრ ტალსის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომების მუშაობის გამოცდილება, აღნიშნა, რომ „საბჭოების ხელმძღვანელობა სულ უფრო კონკრეტული და საქმიანი ხდება... ყოველივე ეს კი დადებითს გავლენას ახდენს შრომის შედეგებზე, გაიზარდა საბჭოების მუდმივი კომისიებისა და სახალხო დეპუტატთა აქტიურობა, გაძლიერდა მართვის ორგანოების მუშაობისადმი მათი კონტროლის ქმედითობა“.

აბაშის რაიაღმასკომი რესპუბლიკაში გამონაკლისი არ არის. ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა გააუმჯობესეს და სიახლეები დანერგეს მახარაძის რაიონულმა და ქუთაისის საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა, რომლებმაც გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს.

სახალხო დეპუტატები, მუდმივი კომისიის წევრები თავიანთ საქმიანობას ამომრჩეველთა განაწესის მიხედვით აგებენ და წარმატებებს მასებთან მჭიდრო კავშირით აღწევენ. მოსახლეობასთან კონტაქტმა, სოფლის მეურნეობის თითოეული მუშაკის ინტერესების გათვალისწინებამ განაპირობა აბაშელთა გაზარჯვება.

კონსტიტუციაში ზუსტად არის განსაზღვრული მუდმივი კომისიების მუშაობის საერთო მიმართულება და მათი კონკრეტული უფლებები. ისინი მხარში უდგანან ადგილობრივ საბჭოებს, ეხმარებიან სესიების მომზადებაში, დადგენილებათა პროექტების შემუშავებაში, აკონტროლებენ მართვის ორგანოების მუშაობას, მოქმედი კანონმდებლობის დაცვას, პარტიისა და მთავრობის დადგენილებების, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობას.

ზემოთ მოყვანილი ფაქტების ანალიზმა დაგვანახვა, რომ ჩვენი რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების გადაწყვეტილებებით, ბოლო ხანებში საკრძნობლად გაუუმჯობესეს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

შარშან ადგილობრივი საბჭოების 6852 მუდმივმა კომისიამ, რომლებშიც 41.294 დეპუტატია გაერთიანებული, მონაწილეობა მიიღო სესიების 7.297 და აღმასკომის სხდომების 18.319 საკითხის მომზადებაში, ხოლო 3.278 კომისიამ თავისი საქმიანობის ანგარიში ჩააბარა სესიას. ეს ფაქტები გვიდასტურებს, რომ ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიები დემოკრატიულ პრინციპებზე და ფართო აქტივზე დაყრდნობით მრავალფეროვან და მრავალმხრივ საქმიანობას ეწევიან, ღღითიდღე ამაღლებენ ქმედითობას. აქტიურობით გამოირჩევა ქუთაისის საქალაქო საბჭოს საბინაო-კომუნალური და კეთილმოწყობის, ჭიათურის საქალაქო საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ამბროლაურის რაიონის ხვანჭკარის, წესისა და ნამანეკვის სასოფლო საბჭოების სოფლის მეურნეობის, სოციალური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიები და სხვ.

ამგვარად, საბჭოების მუდმივმა კომისიებმა მუშაობის დიდი გამოცდილება დააგროვეს და წარმატებები მოიპოვეს. მაგრამ მონინავეთა გვერდით ჩამორჩენილებსაც ვხედავთ. არის შემთხვევები, როცა ორგანიზაციები მუდმივი კომისიიების რეკომენდაციებისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას იჩენენ, მთელი რიგი საბჭოები კი მათ ვერ ეხმარებიან.

მუდმივი კომისიები უპირველესად ამომრჩეველთა განაწესების შესრულებაზე უნდა ზრუნავდნენ, მოსახლეობის საჭიროებანი აღელვებდეთ და გულთან ახლოს მიეკონდეთ, რომ თითოეულმა მოქალაქემ იგრძნოს ხელისუფლების ორგანოს ყურადღება და ზრუნვა თავისი გასაჭირის მიმართ. ამ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ ლანჩხუთის, ამბროლაურის, ლაგოდეხის, ადიგენისა და თიანეთის რაიონების ზოგიერთი სასოფლო საბჭოს მუდმივი კომისიები. ვერც ადიგენის, ბორჯომის, ზუგდიდის, საჩხერის, ყაზბეგის, ბოგდანოვკის რაიონების სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიების ნაწილი არომვეს თავს დაკისრებულ მოვალეობას — არ მონაწილეობს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში, ვერ ახორციელებს ქმედითს კონტროლს აღმასკომების სამმართველოებისა და განყოფილებების, წარმოება-დანესებულებების საქმიანობისადმი.

საბჭოებისა და მათი მუდმივი კომისიების აქტიური პოზიცია, ეფექტიანი საქმიანობა დღევანდელობის მოთხოვნაა. მათ ყველაფერი უნდა იღონონ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, პარტიისა და მთავრობის მიზანდასახულებათა განხორციელებისათვის, რათა ხელი შეუწყონ ქვეყნის ეკონომიკურ დანინაურებას, მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი აწყობს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კითხვებს თემაზე „80-იანი წლები: გეგმები და პერსპექტივები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების და თბილისში გამართულ სიიუხეთო ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების მიხედვით“.

მოხსენებას თემაზე „სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ამაღლება და სპეციალიზაციის გაღრმავება საქართველოს ეკონომიკის შემდგომი ამაღლების დიმენიზენელოგანი პირობაა“ გაკეთებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ზ. ი. პატიაშვილი.

კითხვა გაიმართება 1982 წლის 14 აპრილს, 17 საათზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის ხსდომათა დარბაზში (ლენინის პროსპექტი, 61).

ᲓᲐᲕᲐᲩᲥᲐᲠᲝᲗ ᲡᲐᲐᲒᲚᲝᲛᲔᲠᲐᲪᲘᲝ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲘᲡᲚᲝᲐᲖᲘᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ

ᲐᲒᲚᲝᲛᲔᲠᲐᲪᲘᲐ წარმოება მეტალურგიული ციკლის დასაწყისია. რაც უფრო მეტია აგლომერატი, მით უფრო მეტია თუჯი, და მაშასადამე — ფოლადიც და მთელი ლითონპროდუქციაც, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მეშაობს საგლომერაციო ფაბრიკა, მაგრამ იგი უკვე დაძველდა, მის ბიერ გამოშვებული პროდუქცია არ ჯყოფნით და აგლომერატი სხვა რესპუბლიკებიდან შემოაქვთ. მომწიფდა მეორე საგლომერაციო ფაბრიკის აგების საკითხი. ამჟამად ფაბრიკა სწორი ტემპით შენდება. ამ განსაკუთრებით მნიშვნელოვან შენებლობაზე ითსამდე კაცი მუშაობს, მათ შორის არიან ლიტეკცლი და ორჯონიკიძეები სპეციალისტები. წელიწადში 2 მილიონ 200 ათასი ტონა აგლომერატის სიმძლავრის № 2 ფაბრიკის საქსპლოატაციოდ გადაცემა მეტალურგებს საშუალებას მისცემს მნიშვნელოვნად გაადიდონ თუჯის გამოშვება, გაუმჯობესონ მისი ხარისხი.

აგლომერაცია რთული პროცესია, რომელიც გულისხმობს კაზმის მოამზადებას, საგლომერაციო მანქანებზე მის შეცხობას, გასაშალებას, დოზირებას. ითსზე მეტი მექანიზმი და სხვა მოწყობილობა, რომლებიც უწყვეტ ჯაჭვს ქმნიან, აწარმოებენ აგლომერაციას. ქვეყანა ითობით საწარმო ამზადებს ამ მოწყობილობას.

„ვადამდე ავაგოთ საგლომერაციო ფაბრიკის პირველი რიგი. გასამართავი სამუშაოებისათვის ჩავაბარეთ იგი საშვიდნოეშმრომლ! სსრ კავშირის შექმნის 30-60 წლისთავი აღვნიშნეთ შრომითი საჩუქრებით!“ — ასეთი ლოზუნგებით შრომობს ერთიანი, ერთსულოვანი მრავალეროვანი კოლექტივი.

ბევრი რამ უკვე გაკეთდა, მაგრამ კიდევ უფრო მეტია გასაკეთებელი.

13 აპრილს საგლომერაციო ფაბრიკის მშენებლობა დაათვალიერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობისა კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრმა გ. ა. კარაკეიმ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ე. კოლინმა, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრთან მოადგილემ ი. ს. პრიალნიჩნოკოვმა, სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოების მინისტრის მოადგილემ კ. ს. კოჩანოვმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ს. ადამიას ხელმძღვანელობა გაუწია ბ. დ. მახარაძეშვილმა, რესპუბლიკის და ქალაქის სხვა ხელმძღვანელმა პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკებმა. მათ დაათვალიერეს სამშენებლო მოედანი, იყვნენ მშენებელი საამქროებში, მთავარ კორპუსში, ესაუბრნენ მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, გამოიკითხეს მათი ყოფა-ცხოვრების, შრომის პირობები, მისცეს რჩევა-დარიგებანი რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მშენებლობის საკეთილსაიტაციოდ გადაღებულ დაჩქარების, სამუშაოების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის, მშენებელთა, მემონტაჟეთა, ოთხალელ ენსპეციალისტის მუშაობა შრომისა და საყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესახებ.

ახლა-გამარტების იძლევიდნენ საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ვ. ტ. გოგოლაძე, ამერკოვკასიის „მეტალურგმშენის“ № 1 ტრესტის მმართველი კ. ვ. გოგიჩაიშვილი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ო. ნ. სულიაძე.

ვიფარფოფებულ თათბირზე მშენებლებს, მემონტაჟეებს, ექსპლოატაციის მუშაკებს, პარტიულ აქტივს დაუსახეს შთაგონი ამოცანები. ეს გაზლავთ — შიგნეულ ძალებსა და საშუალებათა გამოყენება სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად, მუშაობა გრაფიკით, მშენებლობაზე შექმნილი შტაბის მუშაობის ქმედითობის გადიდება, ექსპლოატაციის მუშაობა ადგილის დროული და ხარისხიანი მომზადება, პროპაგანდისა და აგიტაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ფართო გამოყენება წარმატებების ნათლად ჩვენებისათვის, ნაკოლოვანებათა კრიტიკისათვის, სააგლომერაციო ფაბრიკის მშენებლობაზე დასაქმებული ადამიანების საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის შედეგი ზრუნვა. (საქინფორმი).

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

მეგობრობით ვართ ძლიერნი

თბილისში გამართულ ზეიმზე ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ ნათქვამი სიტყვები: „საბჭოთა საქართველოში სოფეგეს ჭეშმარიტად ინტერნაციონალური მეგობრობის ატმოსფერო“, საუკეთესოდ შეესატყვისება დღევანდელ დღესასწაულს — ქუთაისის დღეს ის აფხაზეთში. გულთბილად და გულითადად შეხვდნენ სოხუმის სამკერვალო ფაბრიკის მუშები და ინჟინერები ქუთაისელ კოლეგებს — სამკერვალო ფაბრიკის მეშაკებს, რომელიც აფხაზეთ ხალხის სახელოვანი შვილის, ბოლშევიკი ლენინელის ნესტორ ალოლონის ძე ლაკობის სახელს ატარებს. მათ საერთო აქვთ სიხარული. ამიერიდან აფხაზეთის მთავრობის გადაწყვეტილებით სოხუმის ფაბრიკა თვალსაჩინო რევოლუციონერისა და სახელმწიფო მოღვაწის მამა დიმიტრის ძე ორახელაშვილის სახელს ატარებს.

დამმობილებული კოლექტივების შეხვედრისადმი მიძღვნილ მიტინგზე პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. ქეცბაიამ თქვა:

— ჩვენს დღესასწაულს განსაკუთრებულ აზრსა და სილამაზეს ანიჭებს ის, რომ იგი მიმდინარეობს სახელოვანი იუბილეს — სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის წელს, როცა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით შთაგონებულმა საქართველოს მშრომელებმა გააჩაღეს ბრძოლა მეორეხარისხოვანი ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

მიტინგზე ჩამორთმეული ორი მოკლე ინტერვიუ.

ი. პაპასკირი, სოხუმის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი:

— ლენინური მეგობრობით ვართ ძლიერნი. ახლა ეკუთხრეთ ბათუმის სამკერვალო გაერთიანების კოლექტივს, ჩვენს მომიჯავეებს — გორის ბამბეულის კომბინატს, დღეს კი შეჯიბრებაში ვიწვევთ ქუთაისელ მეგობრებს.

შ. ბელაშვილი, ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი:

— თვალს ჩინეთით უნდა გაეფურთხოდეთ ფასდაუდებელ მონაპოვარს, რომელიც მემკვიდრეობით დაგვიტოვა მრავალსაუკუნოვანმა ურღვევმა მეგობრობამ. ამისათვის უნდა გავამრავალფეროვნოთ და სრულყოთ ჩვენი ურთიერთობის, ჩვენი კონტაქტების ფორმები და მეთოდები. ამ ფორმათაგან საუკეთესოა სოციალისტური შეჯიბრება.

აი რა თქვა სოხუმის სამკერვალო ფაბრიკის მუშამ ლ. ბაგუმა:

— ჩვენი კოლექტივის, ისევე როგორც ავტონომიური რესპუბლიკის ყოველი სხვა საწარმოს მაგალითით შეგვიძლია გვამსჯელოთ საბჭოთა ხალხების ინტერნაციონალური მეგობრობის ურღვევობაზე. ჩვენთან ერთმანეთის მხარდამხარ შრომობენ ქართველები, რუსები, აფხაზები, ოსები, სომხები, ლატვიელები, უკრაინელები, ესტონელები, ბერძნები და სხვა. ასეთ მდუდაბებულ კოლექტივს ყოველნაირი ამოცანის გადაწყვეტა შეუძლია.

მეგობრობის მიტინგში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

ამ დღეს გაიმართა შეგობრობის დღესასწაული აფხაზეთის დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებშიც. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დელეგაციის ხელმძღვანელი სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი, ხოლო საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი მასპინძლობდა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებს. ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მანიფესტაციად იქცა ორი დამოუკიდებელი ქალაქის სტუდენტთა შეხვედრები.

აფხაზეთის უნივერსიტეტის საქტო დარბაზში გამართულ საზეიმო მიტინგზე სტუმრებს მიესალმა პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის გამგე ბ. თარბა. მან განაცხადა, რომ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი მეგობრულ გრძნობებს გამოიდის შესანიშნავი ქართული ქალაქისადმი — ქუთაისისადმი, მისი შშრომელი, შემოქმედი ადამიანებისადმი.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის პროორექტორმა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის დარგში ზ. გაბრიჩიძემ. დელეგაციის, მთელი ქუთაისის მშრომელთა სახელით მან მადლობა გადაუხადა აფხაზ მეგობრებს გულითადი მასპინძლობისათვის, მიაწერა ისინი პედაგოგიური ინსტიტუტის 50-ე წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო ზეიმზე, რომელიც გაისად გაიმართება. (საქინფორმი).

**ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲧᲐᲚᲔ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲠᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐ ᲒᲐᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲠᲓᲔᲑᲣᲚ ᲫᲛᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲗᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲓᲒᲐᲜᲔᲗ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲚᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲔᲡ ᲛᲘᲜᲘᲠᲘᲜᲒᲘ ᲠᲘᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ. ᲛᲘᲜᲘᲠᲘᲜᲒᲘ ᲠᲘᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲘᲠᲩᲘᲚᲐ ᲛᲘᲠᲩᲘᲚᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲒᲘᲠᲩᲘᲚᲐᲜ

კრიტიკული
გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს“ უპასუხებენ

პარტიის გეგეჭკორის
რაიკომი

„შერმეგი ზამთარში“ ამ სათაურით წელს 18 თებერვალს გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი წერილი საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომის მიერ მსჯელობის საგანი გახდა. ბიუროს ცნობად მიიღო ის, რომ სერგეევის ბედის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე გ. ხუჩუა კოლმეურნეობის საერთო კრებამ სუსტი მუშაობისათვის გაანთავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან. მხედველობაში აქვს მიღებული სალბონის სტანდარტი, გაეკიდნენ წინსვლის, ინჰბურის შერონაის სახელობის კოლმეურნეობების თავმჯდომარეების ლ. წულაიას, ლ. წულაიას, ხ. ჯანჯღავას, დიდიგულოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივნის ი. ჯანშიას, ნაგვაზოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავჯი აგრონომის კვანტალიანის განცხადება, რომ ახანი მთლიანად გარდაქმნილ მუშაობას და გაატარებენ კონკრეტულ ღონისძიებებს წერილში აღნაშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ბიუროს დასახა ქმედითი ღონისძიებები რაიონის მეცხოველეობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის.

ეს რეფერაციას აკეთებს პარტიის გეგეჭკორის რაიკომის მეორე მდივანი გ. ბასელაია.

• •

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული მოწონავე სტატიის „კინომომსახურება სოფლად“ გამო რედაქციამ მიიღო რამდენიმე პასუხი წერილი გამოთქმული კრიტიკულ შენიშვნებზე.

საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი-დან გვწერენ: „იმ მსჯელი დასახლებულ პუნქტებში, სადაც ჯერ ჯერობით არ არის კინოსახლეებული შენობები, ხელშემშლელია ავტომძრავების ნაკლებობაც. უკანასკნელ წლებში კინოფიტერების და კინოდანადგარების ახალი ფილმებით მომარაგება მკვეთრად გაუარესდა ფირის სიმკვრივის გამო. კინოკომიტეტი თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერს გააკეთებს სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების გასაუმჯობესებლადაც“.

საქართველოს კომპარტიის ქედის რაიონული კომიტეტი გვატყობინებს, რომ „კინომომსახურების სამეფნი მართლაც არის ნაკლოვანებანი, რაც სამართლიანად აღინიშნა პირველად პარტიული ორგანიზაციების საანგარიშოსაარჩევნო კრებებზე. სოფლების ბზუბუს, ზუდგაის, ახოს მცხოვრებნი უამაოდ ფილონი არიან კინომომსახურებით, ფილმებს ეჩვენებენ ხარეზებით, მოსაწესრიგებელია კინოდანადგარზე აღრიცხვისა და კონტროლის საქმე. ითვალისწინებს რა სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების ღონის ამაღლებისათვის პარტიისა და მთავრობის ცნობილ დადგენილებებს, ქედის რაიონული კომიტეტი კვლავაც განაახორციელებს საჭირო ღონისძიებებს კინომომსახურების შემდგომ გაუმჯობესებისათვის, ამ დარგში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის“.

საქართველოს კომპარტიის ხიდნელის რაიონული კომიტეტი გვაცნობებს, რომ „მოწონავე სტატიაში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. ზნორის კინოთეატრი მართლაც შეუფერებელ შენობაშია, კინოსეანსების ჩვენების დროს სისტემატურად ირღვევა წესრიგი.

ამის გამო იმსჯელა წყორის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და ქარში შემოსალიდან გამოყო 30 ათასი მანეთი კულტურის სახლის და კინოთეატრის რემონტისათვის, რაც უახლოეს ხანში დაიწყება.

წყლრიგის დარღვევისათვის სამუშაოდან განთავისუფლებული მოლარე-კონტროლორი ა. ფხოველიშვილი, გაფრთხილება მიეცათ უფროს კინომექანიკოს ა. ხუციშვილს და კულტურის სახლის დირექტორს მ. ბეგიაშვილს, მილიციის ინსპექტორებს ბ. ბეგიაშვილსა და გ. ხმელაძეს. საყვედური გამოეცხადა სახლში რაზმეულის შტაბის უფროსს ი. კუტიბაშვილს.

ხიდნელის სახლხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჯ. გოგინაშვილი გვწერს: მოწონავე სტატიაში აღნაშნული ფაქტების შესახებ საკითხი განხილულ იქნა რაისაბჭოს აღმასკომის სხდომაზე და მუშაობაში დაშვებული ნაკლოვანებებისადმი მკაცრად დაისაჯნენ წყორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ნადირაძე და სიღნაღის კინოფესტივალის დირექტორი შ. კიაწაშვილი.

საქართველოს კომპარტიის ბულის რაიკომის მდივანი თ. ტუნაძე გვწერს: „კომუნისტის“ მოწონავე სტატიაში „კინომომსახურება სოფლად“ აღნაშნული ფაქტების სოფელ საციხურის მზრდელთა კინომომსახურებ ა შ ი არსებული ნაკლოვანებების თაობაზე სწორია.

1982 წელს საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს საციხურის კოლმეურნეობის კლუბ-კინტორის შენობა, სადაც დამონტაჟდება სტაციონარული კინდანადგარები.

„კომუნისტის“ უპასუხებენ

„მახა“, „ზანდური“, „დიკა“...

ქაცოგრიფის ციგილიაცია მაშინ დაიწყო, როდესაც ადამიანმა პერის გამოცხობა ისწავლა. ჭეშმარიტად უთქვამს ცნობილ მეცნიერს კ. ტიმირიაზეს: „კარგად გამომცხვარი პური ადამიანის ტვინის უდიდესი გამოგონებაა“.

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ეს მოხდა რამდენიმე ათასი წლის წინათ. ნიუ-იორკის მუზეუმში ინახება სამი ათას ოთხასი წლის წინათ გამომცხვარი მრგვალი ფორმის პური.

ძველად ხაბაზის პროფესია მეტად დაფასებული ყოფილა. რომში დღედ შემორჩენლია პარისმცხობელ ვინმე ეკრიკაზეს ძეგლი, რომელიც ორი ათასი წლის წინათ დაიდგა. ანტატკერ საბერძნეთში ხაბაზებს ნიშნავდნენ მეტად მაღალ სახელმწიფო პოსტებზე, ხოლო ძველ გერმანიაში პურისმცხობლის მკვლელს სამჯერ უფრო მეტი სისასტიკით სჯიდნენ.

მაგრამ თურმე იმხანადაც ყოფილან თაღლითი და ყალთაბანდი ხაბაზები, რომლებიც წონანაკლებ და უხარისხო პურს აცხობდნენ. ასეთებს, მაგალითად, თურქეთში ნესტორეს უხვრეტდნენ, ზედ მათ მიერ გამოცხობილ უხარისხო პურს ჰკიდებდნენ და ასე დაჰყავდათ ქუჩაში ხალხს სამზერად. ეი ასე აფასებდნენ პურის მომყვანის შრომას.

სად წარმოიშვა პირველად ხორბალი?

საქართველო ხორბლისა და და პურის სამშობლოდ არის აღიარებული, ჩვენში უხსოვარი დროიდან პურის ნამდვილი კულტი არსებობდა, რომლის კვალი დღესაც საკმაოდ შემოგვრჩა. პირველად ჩვენს მიწაზე დაიწმა ხორბლის და პურის აკვანი. პირველად სწორედ ჩვენშა წინაპარმა არა ბხოლოდ გამოიყენა ველური ხორბლის მარცვალი პურის გამოსაცხობად, არამედ თავისი ნიჭით და შრომით საქართველოს კულტურული ხორბლის სამშობლოს სახელიც დაუმკვიდრა.

აგრობიოლოგიის მამამთავარმა ნ. ვავილოვმა დაამტკიცა, რომ ხორბლის ერთ-ერთი სამშობლო საქართველოა. ამაზე ნათლად მეტყველებს აგრეთვე ბოლო დროს არქეოლოგიური გათხრები.

სწორედ ამით შეიძლება აიხსნას, რომ უწინ ქართული პურის კარგ გემოს მნიშვნელოვანწილად ქართული ხორბლის შესანიშნავი თვისებები განსაზღვრავდა თავისი ოპტიმალური ქიმიური შემადგენლობით. განსაკუთრ ებ ით აღსანიშნავია ცილებისა და წებოგვარის დიდი შემცველობა და მათი მაღალი ხარისხი.

ქართული ხორბლის დადებითი ტექნოლოგიური თვისებებიდან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მისგან გამომცხვარი პური კარგა ხანს და ჩინებულად ინახება.

საქართველო გამოირჩევა ხორბლის ენდემური ჯიშების განსაკუთრებული სიმდიდრით, რითაც მსოფლიოს ვერც ერთი ქვეყანა ვერ მოიწონებს თავს. ამის სალუსტრაციოდ საკმარისია ითქვას, რომ ხორბლის გვარი სულ 27 სახეობას მოიცავს, რომელთაგან საქართველოში 14-ია აღრიცხული.

გარდა იმისა, რომ ქართული ხორბლის ჯიშებს აქვს საუკეთესო გემო, პრაქტიკული თვალსაზრისითაც საეცხოოა: უადრესად ძვირფასი თვისებებია დაავადებათა წინააღმდეგ ფენომენალური გამძლეობის, სხვადასხვა ნიადაგობრივი პირობებისადმი შეგუების დიდი უნარი და სხვ.

ხორბლის ამ ჯიშებით დიდი ხანია დაინტერესდნენ მსოფლიოს მეცნიერები და სელექციონერები, რომლებმაც ჩვენი ენდემური ხორბლის წყალობით გამოიყვანეს მრავალი ახალი გაუმჯობესებული თვისებების მქონე ჯიშები. მაგალითად, იაპონიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ინდოეთში, ნიდერლანდში და სხვაგან მხოლოდ ჩვენი „ზანდური“ სხვა სახეობის მარცვლეულ მცენარეებთან შეჯვარებით მიიღეს ხორბლის 7 ჯიში, ესენი „დიკა“ დახმარებით კი ოთხი.

ქართული ენდემური ჯიშების ხორბლის მნიშვნელობა დიდი ხანია გასცდა ეროვნულ ჩარჩოებს და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, რადგან მისი წყალობით შესაძლებელი გახდა ხორბლის ისტორიის აღდგენა და რეკონსტრუქცია. მეორე მხრივ, ხორბლის ისტორია ადამიანთა ცივილიზაციის ისტორიაა! არ შეიძლება გულისხმავილით არ ითქვას, რომ ასეთი ბრწყინვალე წარსული ფიზზე ქართული ხორბლის ჯიშების ბედი, დღევანდელი მდგომარეობა ერთობ სავალალოა, რადგან არ ვიცით, როგორ შეეინარჩუნოთ ისინი.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენი ეროვნული კულტურის ძეგლების გვერდით საჭიროა მოვიხსენოთ ქართული ხორბალი, ქართული პური.

სამწუხაროდ, ახლა გარკვევით უნდა ითქვას, რომ „მახა“ და „ზანდური“, „დიკა“ და „დოლის პური“ სამუზეუმო ხდება. და ეს მაშინ, როდესაც ეს ჯიშები უწინარესად ჩვენი მიწის, ჩვენი მინდერების საკუთრება უნდა იყოს!

ათასჯერ მართალია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გენეტიკისა და სელექციის კათედრის გამგე პროფესორი პეტრე ნასყიდაშვილი, რომელიც მოითხოვს, რომ საქართველოს ცალკეულ რეგიონებში შეიქმნას პატარა, ასე ვთქვათ, ნაკრძალები, სადაც ქართული ჯიშის ხორბალს გავამრავლებთ. ასეთივე ნაკვეთი უნდა მოეწყოს მოზეთმოქმედების ინსტიტუტში, ჯიშთა გამოცდის პუნქტებში, ბოტანიკურ ბაღებში, სოფლის სკოლების ნაკვეთებში, და ბოლოს შეიქმნას ბიოლოგიური სადგური, სადაც ფართოდ გაიშლება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ჩვენი ძვირფასი ხორბლის ჯიშების აღსადგენად და მათი თვისებების გასაუმჯობესებელად, რათა ხელიდან არ გამოგვეცალოს ეს ეროვნული სიმდიდრე.

რამ გამოიწვია მთელი რიგი ჯიშების ქართული ხორბლის გადაშენება? რასაკვირველია, ამას თავისი მიზეზები აქვს. მთავარია ის, რომ ქართული ჯიშის ხორბალი მეცინერმსავლიანია. შემდეგ, ეგზ საბჭოთა კავშირში შეიქმნა ბევრი უხმოსავლიანი ჯიშები, რომლებიც დიდძალ მოსავალს გვაძლევს. მარცხიანი, მიზანს მივალწიეთ, მაგრამ ხორბალში იყლო ცილების და წებოგვარის რაოდენობამ, რამაც პურის ხარისხის და მისი კვებითი ღირებულების დაქვეითება გამოიწვია. მთლიანად ჩვენს კვეყანაში ცილების რაოდენობამ ხორბალში 16-17 პროცენტიდან 10-12 პროცენტამდე იკლო, რაც არასასურველია. საქმე ის არის, რომ ადამიანის საკვებში ხორბალი და მისგან გამომცხვარი პური მცენარეული ცილების ძირითადი წყაროა. განსაკუთრებით ეხება ეს ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობას, სადაც ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში ყველაზე მეტი რაოდენობის პური მოიხმარება..

სელექციური მუშაობა მიზნად უნდა ისახავდეს ხორბლის ბიოლოგიური და სასურსათო ღირებულების მომატებას. ეს იმიტომ, რომ შეიქმნას ინტენსიური ტიპის ხორბლის ჯიშები, რომლებიც მოგვცემს კარგი გემოს პურს. აი, სად გვჭირდება ჩვენ ქართული ჯიშის ხორბალი! მისი აღდგენა და აღორძინება უნდა მოხდეს არა ძველი, არამედ უკვე გაუჯობესებული ფორმით, რათა ცილების და ზეუცვლელი ამინომეავების დიდი შემცველობის გარდა მათ ახასიათებდეს უხვი მოსავლიანობაც.

ჩვენი სელექციონერების კეთილშობილური და პატრიოტული მოვალეობა ის არის, რომ გამოიყვანონ ხორბლის გაუჯობესებული ქართული ჯიშები, რომლებიც არა მარტო უხვმოსავლიანი იქნება, არამედ, აგრეთვე, ქართული პურის ბედი, ბოლოს და ბოლოს, ამ ჯიშებზე ეყრდნობა.

ეს ამ ნიშნავს, რომ ჩვენი საქართველო ფიზიკურ ბაზრ ქართული ფიზიკურ ბაზრ ქართული ფიზიკურ ბაზრ ქართული

საერთაშორისო თემატიკა

ერთიანი კოლეგიდლეი ბ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ტ ო რ ე ბ ი ს, მომხსენებლების, ლექტორ ე ბ ი ს, კოლეგიდნფორმატორ ბ ი ს და აგიტატორების დასახმარებლად

1982 წლის 26 ივნისს გაიმართება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და სახალხო მოსამართლეთა არჩევნები. ქვეყანაში შრომითს კოლექტივებსა და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას გაიშალა ფართო საარჩევნო კამპანია, საგაგანათლო-პროპაგანდისტული შუშობა. მას საფუძვლად უდევს სკკ სპიანო და საკარო პოლიტიკის, პროფკავშირთა XVII ყრილობაზე და ტაშკენტში გამართულ ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ დასახული ამოცანათა ღრმა განმარტება, შრომელთა შემოქმედებითი მეცადინეობის წარმართვა 1982 წლის გეგმების, ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, სსრ კავშირის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

ერთიანი პოლიტდღლეების ორგანიზატორების, მომხსენებლების, ლექტორების, პოლიტინფორმატორებისა და აგიტატორების დასახმარებლად ქვეყნდება გამოსვლების სანიმუშო თემატიკა.

ვ. ი. ლენინის სოციალისტური დემოკრატიის შესახებ.

სკკ XXVI ყრილობა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა.

სსრ კავშირის კონსტიტუცია სახალხო ხელისუფლების ლენინური პრინციპების ხორცშესხმა.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები სსრ კავშირის პოლიტიკური საფუძველია.

ზეიმი ძალაუფლება — სსრ კავშირში ხალხს ეკუთვნის.

საბჭოფიფო — ეს ჩვენ ვართ.

საბჭოთა საარჩევნო სისტემის დემოკრატიზმი.

ეროვნული საკითხი ლენინური თეორიისა და პოლიტიკის მიხედვით.

ეროვნულ-ეროვნული ურთიერთობანი — ინტერნაციონალური ურთიერთობანი.

ეროვნული დეპუტატობის ინსტიტუტი — ეროვნული ინტერესების ერთ-ერთი ფორმა.

ეროვნული ინტერესებისთვის ბრძოლა — ინტერნაციონალიზმის ბანერი.

ეროვნული ეკონომიკა — ეროვნული ეკონომიკური ინტერესების ერთ-ერთი ფორმა.

ეროვნული ენა — ეროვნული ინტერესების ერთ-ერთი ფორმა.

ეროვნული ეროვნული ეროვნული

კვლავაც აღზრდა ტალანტისა

წელს აღინიშნება თბილისის სამხატვრო აკადემიის — ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლის 60 წლის თავი. თავისი არსებობის დროის მანძილზე იგი ფუნქციას და საჭიროებლის ისტატთა მომზადების ნამდვილ სამეკალდოდ იქცა, წარმატებით განაგრძობს და შემოქმედებითად ავითარებს ეროვნული ქართული კულტურის საუკეთესო ტრადიციებს, დიდი წვლილი შეაქვს მრავალეროვნული საბჭოთა ხელოვნების საგანძურში.

1922 წელს საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატმა მიიღო დადგენილება აკადემიის შექმნის შესახებ „საქართველოში ყველა სახის პლასტიკური ხელოვნების შესწავლის ხელშესაყოფად“. აკადემიის სამეზობლო შეადგინეს თვალსაჩინო მხატვრები, მოქანდაკეები, ხუროთმოძღვრები, მათ შორის ქართული სახვითი ხელოვნების ისეთი გამოჩენილი ოსტატები, როგორიც არიან გ. ჩუბინაშვილი, მ. თოიდე, გ. გაბაშვილი, ი. ნიკოლაძე, ნ. კანდელაკი. თავიდანვე სამხატვრო უმაღლეს სასწავლებელს დასახული ჰქონდა ამოცანა მტკიცე პროფესიული მომზადება მიეცა სტუდენტებისათვის, დაეცვა ისინი ფორმალისტური ფეხვედრეულნეარული გატაცებისაგან, აღეზარდა სოციალისტური რეალიზმის პრინციპით. პატარა სახსვალებლიდან აკადემია უმაღლეს სასწავლებლად იქცა, რომელიც მალალ კვალიფიკაციის სპეციალისტებს ამზადებს. ამიტომაც აქ სწავლობს დაახლოებით 850 სტუდენტი — 19 პროფესიის მომავალი მხატვარი — ფერმწერები, მოქანდაკეები, გრაფიკოსები, არქიტექტორები, ძირითადი სახეობითა დეკორატიულ-გამოუყენებითი ხელოვნების ოსტატები.

ქვეყნით ჩვენს მეოთხეელებს ვთავაზობთ აკადემიის რექტორის გ. თოთიბაძის წერილს ამ უმაღლესი სახელოვანი სასწავლებლის დღევანდელ საზრუნავსა და საფიქრალზე, მის სამომავლო ამოცანებზე.

პატრიის მიერ დიდი ლენინის წინასწარმეტყველსახელობისა თანამედროვეობა ერთად ეროვნული ტალანტებისა ეროვნული ეროვნული ეროვნული